წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

ჰარასკევი 22 ივლისი

# სამშობლო

№ 411

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.



შაბათს 23 ივლისს ოზურგეთს ქანდიევის ეკლესიაზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ვასილ სოფრომის ძე ხუნდაძის,

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მეუღლე და შვილები გარდაცვალებულისა.

254 1—1

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

21 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება:

ორჯერ გადარჩენილი ქალი.

თანამედროვე დრამა 3 ნაწ. ო. ბენეტიტი და ე. გონეს მონაწილ.

ქალაქის მამები.

კომედია 2 ნაწ. კამილლო-დე-რიზას მონაწილეობით.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 25 ივლისიდან:

დარბაისელი ქურდი — საამდროვო დრამა 5 ნაწილად, ჰუსტავ, სერენ და ოლგა ბენეტის მონაწ.

**ჰოლანდიის მხატვრული კუთხეები.**

სანახაობა.

**უაჩალებმა დანიშნეს.** სახუმარო.

იყიდება.

**დაბა ხონში იყიდება სამოსახლო ადგილი**

სივრცით დაახლოვებით 1500 საჟენი. სემინარიის გვერდით. პირობების გაგება შეიძლება ქ ქუთაისში, თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი, № 46.

256

იძლევა იჯარით — ჩემ მიერ იჯარით აღებული

სალორიის აგარაკზე **საეზოვე მიწა** ორასი კვად. საჟენი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.

**პირობების გაგება შეიძლება პ. ფერაძის სტამბაში,**

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ა თმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

ჩ-ჲ ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**“ რედაქც.

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8 საათ.

2 გოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

ვიყვან მოწაფეებს ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში.

ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. აბორინის ქუჩა, სახლი დემიდოვის, სტუდენტი

244 ა. ზ. თელაია. თვ.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

აძლევს გაკვეთილებს

**ფრანგ'ულ ენისას.**

იკითხეთ „სამშობლოს“ რედაქციაში.

**დ. ლაილაში.**

კბილის ექიმი

**ანნა პარმენის ასული ებანოიძე**

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** ურის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 21 ივლისიდან ახალი პროგრამა

მე თქვენ გნახეთ გუშინ სიზმარში

ძლიერი დრამა 3 ნაწ. გამოჩ. მსახიობთა პანოვის, ა. ვერლენის და აზაგაროვის მონაწილეობით.

დასჯილი ანტონი — დრ. 2 ნაწ. გამოჩენილ მსახიობთა მონაწილ.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 25 ივლისიდან.

კუნძული იავა და მისი ქალაქები.

სანახაობა.

და ხმალი მისი მზეზე ბრჭყვინავდა — დრამა ოთხ ნაწ. კარბანოვის და რიმსკის მონაწილეობით.

**ერთი სანაძლეოს შედეგი** სახუმარო.


# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.**

**დასავლეთის ასპარეზი**

**პეტროგრადი.** 20 ივლისი. ოფიციალი. ალაგ-ალაგ საარტილერიო და თოფის სროლა გაცხოველდა.

მტერი ჩვენ თავ დასხმას შეეცადა, მაგრამ ამაოდ. მტრის ჰაეროპლანი ყუმბარებს უშენდა უსიჩის მახლობლად ვლადიმირო-ვოლინსკ-ლუცკ ბოლბახის გზით მიმავალ დაჭრილთა ტრანსპორტს. მოკლული 20 კაცზე მეტია.

მტერმა უსიჩშიც განიმეორა ეს საქციელი, სადაც დაჭრილია რამოდენიმე სანიტარი.

**კავკასიის ასპარეზი.** ჩვენ კვლავ წინ მივდივართ

**ლონდონი.** 19 ივლისი დღევანდელ ღამის თავდასხმაში მონაწილეობას იღებს მრავალი დირიჟაბლი, რომელიც თავს დაჰფრენდა ლინკონბაირს, ლორფოლკს, სუფოლკს, კემბირჯს, ესკესს, ჯენტს, და ხუტინგტონს და ისროდა ყუმბარებს. ინგლისელებმა წინაამდეგობა გაუწიეს და ერთს ადგილას გაიმარჯვეს კიდეც დაწვრილებით ცნობები ჯერ არ მოსულა. ივლისის 18 ს ცეპელინები ტემზის მახლობლად ისროდა ყუმბარებს. ცეპელინების თარეში ეხლაც გრძელდება

**რომი.** 18 ივლისი. ლაგარინის ვაკესან ავსტრიელებმა იერიში მიიტანეს ჩესტიენიცულიეზე, მაგრამ იტალიელებმა უკან დააჭევინეს. ავსტრიელთა არტილერია მეტს სიცხოველეს იჩენს ადიდჟემონტეპაზუბიო და ასტიკოს შუა. ავსტრიელებს ჰმუსრავენ და მონტეჩიმონეს უახლოვდებიან. ავსტრიელთა მძიმე არტილერია გუშინ არსიეროს ყუმბარებს ესროდა, ზიანი უმნიშვნელოა. ტრავიენოში მტერს ზურგი გაუმაგრა ახლად მოსულმა ჯარმა, მაგრამ მაინც უნაყოფო გამოდგა მისი შემოტევა ჩვენი ხაზების ასაღებად. დრავის მინდორში იტალიელთ არტილერიას ესროდენ სხვაგან სიწყნარეა. მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ოლლა ლაფორედი გრიმიერთან, მაგრამ უნაყოფოდ.

**პარიზი.** 19 ივლისი. სომის ჩრდილოეთით ღამის განმავლობაში გერმანელებს იერიში არ განუახლებიათ. ავრის ჩრდილოეთით გერმანელებმა გააფთრებული საარტილერიო ცეცხლის შემდეგ, ორჯერ შეეცადნენ იერიშის მოტანას ლამონის მიდამოებში, მაგრამ ფრანგებმა შეაჩერეს. მაასის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლამ მკაცრი ხასიათი მიიღო. სიმაგრე ტიომონის მიდამოებში ფოგენდორფეს ტყეს დიდ ყალიბიან ზარბაზნებს უშენდნენ. პონტამუსონის დასავლეთით ფლერთან გერმანელებმა ააფეთქეს სამი ფრანგების ნაღმი. დანარჩენ ადგილას მთელი ღამე სიწყნარე სუფევდა. ვერდენის ჩრდილოეთით პრაპ. ლენუარმა ძირს ჩამოაგდო გერმანელთა საფრენი აპარატი. ამ პრაპორშჩიკს კიდევ სხვა 5 აპარატი ჩამოუგდია ძირს სხვა და სხვა დროს. მეორე გერმანელთა აპარატი ამავე ლენუარის მიერ ჩამოგდებულ იქნა დასავლეთ ეტენის მიდამოებში.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 19 ივლისი. სტობიხვისა და სმოლიაროს მიდამოებში მტერს იერიშები მოჰქონდა სტოხოდის ნაპირზე, მაგრამ ჩვენმა ჯარმა უკანვე დაახევინა. ბრძოლა ისევ გრძელდება.

**კავკასიის ასპარეზი.**

სივასის მიმართულებით ერძიდჯანის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა კვლავ წინ წაიწია.

**ლონდონი.** 19 ივლისი. ბრიტანიის მთავარ ბინის ცნობა საფრანგეთიდან. დღეს არავითარი ღირსშესანიშნავი ცვლილება . არ მომხდარა. ბრიტანიის ჯარის ბრძოლის ხაზზე ფრანგების ჰაეროპლანები ყუმბარებს უშენდნენ გერმანელებს ააფეთქეს იარაღების საწყობი, ერთი მატარებელი, აგრეთვე ძირს ჩამოაგდეს მტრის ჰაეროპლანი და დააზიანეს რამდენიმე ფრანგებმა თავის მხრივ დაჰკარგეს სამი ჰაეროპლანი.

**ლონდონი.** 18 ივლისი. ინგლისელთა ჯარმა ხელთ იგდეს დომამდის გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის რკინის გზის ხაზი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

სპარსეთი ნელ ნელა ჯარს ადგენს. ეხლა მას თეირანის გარშემო უკვე 1200 ჯარი ყოლია დაგროვილი

ლონდონიდან იტყობინებიან ფრანც იოსები ბუდაპეშტში წავიდა, სადაც ამ ჟამად მღელვარება ყოფილა.

ოსმალთა ზედგავლენით საბერძნეთის ქვეშევრდომნი მაჰმადიანები საბერძნეთის პარლამენტის არჩევნებზე გუნარისს მისცემენ ხმას.

გერმანიის ელჩს რუმინიაში ფონ—ბუშს განუცხადებია რუმინიის მთავრობისთვის, სამი კვირა მოითმინეთ და დაინახავთ რა შესძლებია გერმანიასაო.

მოლაპარაკება რუმინიასა და მოკავშირეთა შორის ჯერაც არ დასრულებულა.

მიუხედავად იმისა, რომ ხეტყე და ნავთი თვით რუმინიაში ამ ჟამად ნაკლებადაა. დიდ—ძალი ხე ტყე და ნივთი განაქონათ გერმანიაში.

ქ. რუბე, ტურკუენსა და ლილიდან გერმანელებს 25000 მცხოვრები გაუწვევიათ. მამაკაცები პოზიციაზე სამუშაოდ გაუგზავნიათ, ხოლო ქალები გერმანელ აფიცერთა და ჯარის კაცთა მოსამსახურედ დაუნიშნავთ.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, მიუხედავად სხვა და სხვა ცნობებისა რუმინიაში ჯარს აგროვებენო.

საფრანგეთის პრესა აღფრთოვანებით ეგებება რუსეთის გამარჯვებას გალიციაში და დარწმუნებულია, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია.

ბერძნულ გაზეთების აზრით რუმინიის ნეიტრალიტეტის დარღვევა სავსებით დამოკიდებულია საბერძნეთის ავსტრია-გერმანიის თუ ოთხთა შეთანხმების მიმხრობაზე.

ბელგიის გენერალ გუბერნატორს ბარ. ფონ-ბსიონგს ერთი მილიონი მარკით დაუჯარიმებია ქ. ბრიუსელის მკვიდრნი, ვინაიდან მათ იდღესასწაულეს ბელგიის პირველი მეფის ლეოპოლდის ტახტზე ასვლის დღე.

იტალიის გაზეთები აღიარებენ, რომ ახლად გადაყენებული მინისტრი საზონოვი ყოველთვის იტალიის საუკეთესო მეგობრად ითვლებოდაო.

„ვარშაუერ ცაიტუნგის“ ცნობით პოლონეთის მთელი წლევანდელი მოსავალი განზიდული იქნება გერმანიაში.

გერმანული გაზეთი „მიუნხენერ ნახრისტენ“ სწერს: ყოველ ეჭვს გარეშეა რუმინიის სიმპატიები მოკავშირეთა მხარეზეაო. რუმინელები კვლავ ტრანსილვანიის შემოერთებას ეტრფიან და ამიტომ მოკავშირეებს შეეკვრებიან პირობითაო.

აღმოსავლეთის ასპარეზზე დაღუპულა ცნობილი გერმანელი მფრინავი პერშაუ.

## სამხედრო მიმოხილვა.

ბოლო დროს ისეთი დაჟინებით დაიწყეს ლაპარაკი რუმინეთის მოკავშირეთა მხარეზე ომში ჩარევაზე, რომ მეტი არ იქნებოდა გათვალისწინება იმისა, თუ რა შეუძლია გაუკეთოს რუმინეთმა მოკავშირეებს.

რუმინეთის ჯარი ამ ჟამად არ აღემატება 4—5 ათასს და საჭირო დროს შეიძლება იგი 7000 მდე ავიდეს. ტყვია წამალი და იარაღი ნაკლებადა აქვს შედარებით დღევანდელ ომის მოთხოვნილებასთან. ჯერ კიდევ ამ რამდენიმე ხნის წინად რუმინეთი ხელშეკრულებით შეეკვრა გერმანეთს, რომლის წყალობით ფიქრობდა რკინეულობის შეზიდვას რუმინეთში.

ასეთი ძალებით რუმინეთს ეჭვი არ არის გაუჭირდება სამ მხარეზე ბრძოლის წარმოება

მდგომარეობა გართულდება რუმინეთისთვის ჯერ ერთი იმითი, რომ გერმანელებმა ყოველი წვრილმანი რუმინეთის სახელმწიფო ცხოვრებისა იციან, და ყოველი ნაბიჯი რუმინელების წინ და წინვე გათვალისწინებული ექნებათ მათ. მეორე კიდევ როგორც ბულგარეთს ისე ოსმალეთს ცოცხალი ძალა შეანახვინა გერმანიამ და ადვილად შეეძლება საჭირო

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი** მდ. სტოხოდის დასავლეთ ნაპირზე სოფ. სტაბოხავთან და სომლიართან გერმანელთა ქვეითა ჯარმა მედგარი იერიში მიიტანა რუსების ჯარზე მაგრამ უკუაქციეს. მტერი საგრძნობლად დაზიანდა. ბრძოლა ისევ სწარმოებს. მტრის ჰაეროპლანები ყუმბარებს ყრიდნენ უსიჩის მახლობლად, ვლადიმიროჰვოლინ-ლუცკ და ბოლშანის გზით მიმავალ ტრანსპორტს. (სადაც დაჭრილები იყო.) აგრეთვე მტერმა ეს განიმეორა თვით უსიჩთანაც.

**კავკასიის ასპარეზი** კავკასიის ასპარეზზე წინ ისევ რუსები მიიწევენ. ვასის გზაზე ერძინჯანის დასავლეთით რუსებმა დაპყრეს რამდენიმე ადგილები და წინ წაიწიეს.

**დასავლეთის ასპარეზი** საფრანგეთის ასპარეზზე ღირშესანიშნავი არაფერი მომხდარა. ჩვეულებრივი ბრძოლა სწარმოებს. სამაგიეროდ ფრანგების ჰაეროპლანებმა ააფეთქეს მტრის იარაღის საწყობები და ძირს ჩამოაგდეს მტრის რამდენიმე ჰაეროპლანი. მდ. ტემზის მახლობლად გერმანელთა ცეპელინები დაფრინავენ და ყუმბარებს ყრიან ცეპელინების თარეში გრძელდება.

**იტალიის ასპარეზი.** იტალიის ასპარეზზე ავსტრიელებმა იერიში მიიტანეს ლაგარინის ველთან ჩესტიენი ცულიაზე, მაგრამ იმ წამსვე უკან დაახევინეს. ადიდჟე მონტეპაზუბიოსა და ასტიკოს შუა ავსტრიელებმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გააჩაღეს. იტალიის ჯარი მონტეჩიმონეს აწვება. მტრის მძიმე არტილერია არსიეროს უშენდა. ტრავილიეროში ავსტრიელებს მოუვიდათ მაშველი ჯარი, მაგრამ იერიშებს მაინც უშედეგოდ აწარმოებდნენ. დრავასთან იტალიის არტილერიამ ცეცხლი გაუჩინა სად სილიანს. ალას ავსტრიელებმა ყუმბარები დაუშინეს, ზარალი სრულებით არ არის.

დროს დასვენებულ რუმინელ ჯარს დასვენებული ჯარივე შეაბრძოლოს ბულგარელების და რუმინელების.

თავის დროზედ ბევრს უკვირდა, რატომ ბულგარელებმა არ განაგრძეს შეტევა ალბანეთში და არ დაიპყრეს ვალონის მიდამოები. ბულგარელებმა კარგად იცოდა, რომ გამაგრებულ ვალონის აღებაში მას დიდი ჯარი მოაკლდებოდა. და ეს კი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა ბულგარეთის ჯარს რუმინეთის მომავალ ბრძოლაში.

ასევე მოიქცა ოსმალეთი, დასთმო მთელი სომხითი, რომ მხოლოდ შეენარჩუნებინა ჯარი, ცოცხალი ძალა.

ეს უფრო ხელსაყრელი იყო მისთვის, ვიდრე გერმანიის და ოსმალეთს შუა ბალკანეთზე გადებულ ხიდის ჩატეხა ე. ი. რუმინეთს და მოკავშირეთა ჯარს შეერთება ბულგარეთზე. ამნაირად გერმანია და მისი მოკავშირეები მომზადებული შეხვდებიან რუმინეთის გამოსვლას. მხოლოდ რუმინეთის ჩარევას ამით უფრო მეტი ფასი ეძლევა.

შვერელი.

## მ ი ლ ო ც ვ ა.

**ქვირფასო თეოფილე.**

„გზა ცხოვრებისა შენც განვლე და ალბეჭდეცა ნავალი“. სულით და გულით გისურვებთ, რომ შემდეგშიც შენმა ხანგრძლივმა ნიჭიერმა მუშაობამ სამწერლო ასპარეზზე და დაუღალავმა საზოგადო მოღვაწეობამ ეს კვალი კიდევ უფრო გააღრმავოს და უკვდავ ჰყოს შენი სახელი შენს საყვარელ მრავალწამებულ სამშობლოში. მრავალ ჟამიერ შენი სიცოცხლე.

იოსებ სანებლიძე, ანთიმოზ გორგაძე.

ვულოცავ ბ. თეოფილე ხუსკივაძეს საზოგადო მოღვაწეობის 35 წლის შესრულებას. სახე გახსნილსა და მჭერ მეტყველს ვუსურვოთ, რომ კვლავ მრავალს წელს განაგრძოს მუშაკობა თავისი საყვარელი ერის სასარგებლოდ.

ქ. არზრუმი. მღ. ფ. ცინცაძე.

# ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

გუშინ წინ, 20 ივლისს, ქუთაისის სა-კომერციო სასწავლებლის მზრუნველ კომიტეტს კრება ჰქონდა. კომიტეტმა ერთხმად სთხოვა ბ. კოტილევსკის, დირექტორს ქუთაისის საკომერციო სასწავლებლისას ბაქოში წასვლაზე უარი ეთქვა და კვლავ დარჩენილიყო სასწავლებლის გამგეთ.

ბ-ნმა კოტილევსკიმ მტკიცე უარი განაცხადა ამ გვარად მომავალ სამოსწავლო წლიდან მოწვეულ იქნება სხვა ახალი გამგე.

✦ გუშინ 21 ივლისს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა ცნობილი პუბლიცისტის და ჟურნალისტის ილია ხონელის დედა ქრისტინე ბახტაძისა, მიცვალებული გაასვენეს ხონში და დაკრძალვენ თავის სახელოვან შვილის გვერდით.

✦ კვირას 24 ივლისს ხრესილში გაიმართება წარმოდგენა.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის მორიგი ორივე ნომერი. ჟურნალი შინაარსიანათ არის შედგენილი.

✦ როგორც არზრუმიდან გვწერენ იქ ჰრილობისგან გარდაიცვალა მე 153 ჯარის კაცი ვასილ კვარაცხელია.

**საზარელი მკვლელობა.**

ამ დღეებში დაბა ბორჯომში წამებით მოჰკლეს მეეტლე ილარიონ ნოზაძე. მკვლელები განზრახ ჩასხდომოდნენ ნოზაძეს ეტლში და ებრძანებინათ წასვლა ზემო ბორჯომში (პარკში). გზაში ერთ მათგანს ამოუღია, ხუთმეტ, გირვანქიანი ფრანგული გასაღები და დაუკვრია საფეთქელში ნოზაძისთვის, შემდეგ დაუწყენ ფერდებში ცემა გასაღებისა და ამ გვარათ მოუკლავთ ის. შემდეგ გადაუბრუნებიათ ეტლი და თვალი ეტლისა ყელზე დაუდვიათ. დილამდე იყო გვამი ნოზაძისა ეტლ ქვეშ. ხოლო დილით იპოვეს გვამი და წამოიღეს სახლში. მკვლელები შეიპყრეს, შოფერები ყოფილან.

**დ. ხურაში.** გამოიწერეს ცარცის ქარხნისთვის მატორი, რომელსაც ამ დღეებში მიიღებენ. დღე ქარხნისთვის იმუშავებს და ღამე კი ქუჩების განათებისთვის.

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ ახალ ამბავში ნოქართა კრების შესახებ შემდეგი შეცდომა მოგვსვლია დაბეჭდილის კრებამ დაავალა თავმჯდომარეს და კომისიის ორ წევრს, რომ იმათ მოიწვიონ ვაჭართა კრება არა უგვიანეს 25 აგვისტოისა უნდა იყოს: მოიწვიონ კრება არა უგვიანეს 25 ივლისისა

**▬ რ ე დ ა ქ ც ი ა ი წ ვ ე ვ ს გამოცდილ ▬**

**ქრონიკერს** (ახალი ამბების შემკრებს) ბეჯითი მოამბე დაიმუშავებს თვეში 60—100 მანეთამდე და მეტსაც.

**თ ბ ი ლ ი ს ი.**

— გუბერნატორების ყრილობა. გუშინ მეფის ნაცვლის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწის თ. დ. ორლოვის თავმჯდომარეობით დაიწყო ყრილობა კავკასის გუბერნატორებისა და ოლქების უფროსთა, სასურსათო საკითხის შესახებ.

— ქართული ბეჭდების მოსპობა. თანხმად უწმ. სინოდის განკარგულებისა, რომელიც უკვე მიიღო სასინოდო კანტორამ, ქართული ბეჭდები უნდა გაუქმებულ იქნეს ამ წლის გასვლამდის.

— გადმოსახლებულთა ადგილებში. უწმ. სნოდი საქართველოს საექსარხოსოში ხუთ ალაგას გახსნის ახალ სამრევლოებს.

— „დედა ენის“ შესწორება. წერა-კითხვის საზოგადოების სასკოლო სექცია სთხოვს საზოგადოების მასწავლებლებს დააჩქარონ თავიანთი შენიშვნებისა და მასალების გამოგზავნა „დედა-ენის“ მეორე ნაწილის შესწორების შესახებ.

— სურსათი. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას მოუვიდა 30 ვაგონი ფქვილი გულევის ფირმიდან სოფლის ხალხის საჭიროებისათვის

— წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 1 ენკენისთვიდან სჭირდება მასწავლებლები შემდეგი სოფლებისათვის: ბაისუბნისა (კახეთი), წერაქვისა (ბორჩალო), თასმალისა (საინგილო), ყალამშისა (ბორჩალო), გუდაუთისა (აფხაზეთი) და მოიდანახესათვის (ზუგდიდის მაზრა). თვიური ჯამაგირი 54 მან. მსურველებმა თხოვნით უნდა მიმართონ წერა-კითხვის კანცელარიას 1 მარიამობისთვემდე

— თავშესაფრის დაარსება. ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა აპირებს გახსნას სოხუმში თავშესაფარი ომიანობისაგან დაზარალებულთა შვილებისათვის და გადმოხვეწილთათვის. თავშესაფარში წერა-კითხვის სკოლაც გაიმართება. ეს მეოთხე თავშესაფარია აღნიშნულ საზოგადოებისა; პირველი სამი მოწყობილია ბათომსა, ახალციხსა და უდეში (ახალციხის მაზრა).

— ფეხსაცმელების ნიხრი. დღეიდან ყველა მაღაზია ვალდებულია ფეხსაცმელები გაყიდოს მთავრობის მიერ დაწესებულ იხრითასეთი ნიხრი გაკრული უნდა იყოს ყველამ ალაზიაში თვალსაჩინო ადგილას. აღნიშნულ ნიხრის მიხედვით მოზდილთათვის ჩექმები უნდა გაიყიდოს 17—28 მან., ბავშებისათვის 16—26 მანეთი; ბაშმაკები მოზდილთათვის 10—23 მან., ბავშვებისათვის 9—20 მან., ტუფლი ბავშებისათვის 8 —18 მ. დიდებისათვის 9—21 მ.

— საჭიროა მასწავლებელი. თელავის გიმნაზიის და წმ. ნინოს სასწავლებლისათვის საჭიროა ქართული ენის მასწავლებელი, რომელსაც მიეცემა გიმნაზიაში 16 გაკვეთილისათვის 500 მან., იქვე კლასის დამრიგებელი თანაშემწის მოვალეობის შესრულებაში 600 მან. და წმ. ნინოს სასწავლებლში 1120 მან, მსურველებმა უნდა მიმართონ თხოვნით 10 მარიამობის თვემდე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას.

**დ. ახალ-სენაკი.**

— დ. ახალ-სენაკში შაქარი არ მოიპოვება, ვინაიდან ვაჭრებს დამალული აქვთ სხვადასხვა შენობებში. იყიდება მხოლოდ შაქრის ფხვნილი, ისიც ნაკლები ხარისხის.

— სოფლებიდან ჩამოსული გლეხები მოსავალზე დიდ იმედს იძლევიან. ვენახებიც კარგია, თუ ავდარმა და სეტყვამ არ გააფუჭა.

— სოფ ლამისყანისა და თეზის (ქართლი) გლეხებმა საადგილ-მამულო კომისიის დახმარებით შეიძინეს 830 დესეტინა მამული ს. ლამის ყანაში. მთელი მამული დაჯდა 120 ათას მანეთამდე. 1 დესეტინაზე მოდის 136 მანეთამდე ეს მამული წინად ეკუთნოდა თავად ერისთავებს, რომელთაგან ის გადავიდა ბ ნ შლიტერის ხელში, ხოლო ამ უკანასკნელისაგან იყიდეს ეხლა გლეხებმა (150 კომლმა) ეხლა უნდა მისცენ გლეხებმა ბ ნ შლიტერს ბანკის საშვალებით 53000 მანეთი, ხოლო დანარჩენი ფული ნაწილნაწილ უნდა იხადონ 3 წლის განმავლობაში.

# ქართველ ისრაელის პასუხი

**„არა ქართველ“ რაბინს.**

(დასასრული, იხ. „სამშ № 410.)

„თუ თქვენ უნივერსიტეტში ეგ ისწავლეთ, რომ თქვენს ერს უთხრათ: „ჩემი ერი არა ხარო“ მშვიდობა მოგცეს ღმერთმა, თქვენთვის დამილოცნია მაგისთანა სწავლა-განათლება!..“

დამიწერეთ თქვენ, პატივცემულო რაბინო. იმის გარდა, რომ ეს სიტყვები ჩრდილსა ჰფენენ თქვენს კულტურულად განვითარებას, მას დაბეზღების ხასიათიცა აქვს ჩვენი მშობლების წინაშე. ჩვენ რომ გული არ შეგვტკივოდეს ჩვენი ისრაელების უმწეო მდგომარეობაზე, კრიტიკასაც არ გაუკეთებდით თქვენი მოღვაწეობის მავნე მიმართულებას და კრინტსაც არ დავსძრავდით ამის შესახებ. სწორედ ამიტომავე ვუწოდეთ ჩვენს წინა წერილს „იძულებითი განმარტება“.

მე მწამს ქართული ეროვნული იდეა და აქტიურადაც მას ვემსახურებით საეჭვო კი არის ის ადამიანი, რომელიც „პასიურად“ აღიარებს რაიმე იდეას. იდეალი რაღა საჭიროა თუ ცხოვრებაში არ განვახორციელებთ? თქვენ სიონიზმი გწამთ? მაშ, რაღად გესაჭიროებათ ის, თუ აქტიურადაც არ განახორციელებთ? რამე რწმენა თუ მაქვს, კიდეც გავავრცელებ, თუ არა და რაღად მინდა იგი?

ჩემი დევიზი ეს გახლავსთ: ყოველივე ცხოვრების კეთილდღეობას, და არა ოცნებას. უკანასკნელს ქარი წაიღებს და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა კი სინამდვილეში რჩება. არ შეიძლება მამონსაც ემსახუროთ და ღმერთსაც თქვენ კი სიონიზმიცა გწამთ და ქართულსაც მშობლიურ ენად აღიარებთ. განა ეს ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგება? ასეთი ლაპარაკით, ბ-ნო რაბინო, ბევრს ვერ დაუხუჭავთ თვალებს. კარგი! ერთი წუთით დავეთანხმებით, რომ შესაძლებელია რაიმე იდეალის გულში ტარება და საქმით კი წინააღმდეგის გაკეთება, მაგრამ შემდეგს თქვენს სიტყვებს რაღა უნდა ვუწოდოთ: „მთელი ქართველი ებრაელობა იმისთანა ებრაელობაა როგორიც არის რუსეთ-ამერიკისა და თვით პალესტინისა. არაფერი იოტის ოდენა განსხვავება ჩვენში არ არსებობს ეროვნულათა და სარწმუნოებრივადაცო“? ეს რას ნიშნავს ბ-ნო ბააზოვო? გრძნობს თუ არა ქართველი ისრაელობა, რომ ამას პროვოკაციის სუნი უდის? ყოველმა ჩვენთაგანმა კარგად უწყის, რომ 10—15 წელია მას აქეთ, რაც მთელი ქართველი საზოგადოების შეგნებ-ული ნაწილი (ისრაელიცა და ქრისტიანიც) მთავრობას თავგამოდებით უმტკიცებენ, რომ ჩვენ ქართველები ვართ ეროვნებით და რუსეთში ან სხვაგან მცხოვრებ ებრაელებთან არავითარი საერთო არა გვაქვს რა ეროვნულად.

როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოემწყვდა, ჩვენმა მეფეებმა ხელშეკრულება ჩამოართვეს რუსეთის მთავრობას, რომ ყოველი ქართველი, იქნება ის ისრაელი, ქრისტიანი თუ მაჰმადიანი, ისარგებლებს მთელი უფლებებით და არაფრით იქნება შევიწროებული ის, როგორც სახელმწიფოებრივი ერიც. მაგრამ ახლა კი რას ვხედავთ? ჩვენ, ქართველ ისრაელებს ყოველივე კანონიერი უფლებანი წაგვართვეს მხოლოდ იმიტომ, რომ რუსის ებრაელებთან განურჩევლათ გვაღიარეს ეროვნულად. აი ამ დაკარგულ უფლებათა აღსადგენათ სისხლს იშრობენ დეპუტატიები პეტროგრადში (მოვიგონოთ დაუვიწყარი ვარლამ გელოვანის ღვაწლი) და თქვენ კი, ერთის კალმის გასმით გსურთ ამოდენი ხნის ნაშრომი გააქარწყლოთ და შეგვწიროთ რაღაც „პასიურ იდეებს“ ნუ თუ არ შეგვიძლია თუ გინდ მარტო იმ თვალსაზრისიდაც მკაცრი და შეუპოვარი წინააღმდეგობა გაგიწიოთ?

მაგრამ რა გაეწყობა ისეთ ადამიანს, რომელსაც არ უნდა გაიგოს შენი და ფანატიკურად გაიძახის რუსის ებრაელობასთან: „ვერ გაგყოფთო“!

ფაქტებზე რაღას გვიპასუხებთ, ბ-ნო რაბინო? რადა გგონიათ, რომ დიდათ პატივცემული ივანე გომართლის ან ამხანაგი მიხაკო ხანანაშვილის მიერ მოყვანილი „მოსაზრება“ (თუ ისტორიული ფაქტები, რომლების პასუხის გაცემასაც გაექცით უსაბუთოა? როგორ გგონიათ, პატივცემულო მკითხველო, ვის უფრო უნდა დაუჯეროთ: მეცნიერების გამოკვლევებს და ისტორიულ ფაქტებს, თუ ონის რაბინ ბ ს ბააზოვის ფრაზებსა და ხავსმოკიდებულ არხივში გასაგზავნ აზრებს? როცა პატივცემულ ივ. გომართელს მეცნიერების მიერ დამტკიცებული გამოკვლევები მოჰყავს იმაზედ, „რომ ერთმა მეცნიერმა განაცხადა: საქართველოს ებრაელები არიან ქართველები, რომელთაც მოსეს სჯული მიუღიათო; ქართველ ებრაელთა თავის ქალა (черепъ) ცხადად ამტკიცებს, რომ ისინი ქართველები არიან და არა ძველ ებრაელთა მოდგმაო“, ბ ნი ონის რაბინი „უსაბუთოდ“ აღიარებს ამას, დაამტკიცეთ ბ-ნო რაბინო, რომ ეს „უსაბუთოა“. მხოლოდ გთხოვთ ნუ მოგვიყვანთ ისეთ საბუთს, როგორიც „ცნობილ ფილოსოფოსს“ ახადაყამს უთქვამს, თითქოს „ებრაელობა თავის სარწმუნოებას შეექმნას ერადო“ რადგანაც რაც უნდა „ცნობილი ფილოსოფოსი“ იყოს, ის მაინც მხოლოდ მოსაზრებას მოიყვანს და მეცნიერი მკვლევარი კი უტყუარ ჭეშმარიტებას.

ნუ თუ მართლა გჯერათ, რომ, ებრაელი ერი არ არსებობდა, სანამ მოსე წინასწარმეტყველმა თორა არ მიიღო? მაშ ვინღა იყვნენ აბრამის, ისხაკის და იაკობის შთამომავალნი? ლაპარაკობდენ თუ არა ისინი რომელიმე ენაზე? არსებობდნენ თუ არა ისინი საზოგადოებრივად? ამუშავებდნენ თუ არა მიწას? იყვნენ თუ არა მწყესებად? ჰქონდათ თუ არა პოლიტიკურ-ეკონომიური დამოკიდებულება სხვა ქვეყნებთან? შეადგენდნენ თუ არა კომპაქტიურ ერთეულს? იყვნენ თუ არა ტყვედ ეგვიპტეში. (ალბად ომი ექნებოდათ, არა ბ-ნო რაბინო?), სანამ მოსე წინასწარმეტყველი იხსნიდა მათ? ჰქონდათ თუ არა საერთო კეთილი მისწრაფება? თუ ყველა ამ კითხვებზედ „კი“ ს მიპასუხებთ, მაშინ იმაზეც უნდა დამეთანხმოთ, რომ ებრაელის ერი სარწმუნოებას სრულიადაც არ შეუქმნია, ეს მხოლოდ სიონისტებსა ჰსურთ რომ ასე იყოს, რადგანაც მათთვის ასეთი მოძღვრება ხელსაყრელია. ვსთქვათ დავეთანხმეთ კიდეც „ცნობილ ფილოსოფოსს“ ახადაყამს, მაგრამ მაინც ეს ვერ აბათილებს მეცნიერთა რეალურ აზრს ეროვნების შემადგენელ ფაქტორებზედ? ისეთი რამის თქმა კი მე 20 საუკუნეში, რომ „სარწმუნოება და ეროვნება განუყოფელიაო“, რასაც თქვენ „ფილოსოფოსთან“ ერთად გაიძახით, მხოლოდ მთქმელის კულტურულად ჩამორჩენას მოასწავებს და მეტს არაფერს! სად ეროვნება და სად სარწმუნოება? წინა წერილშიც მოგახსენეთ და ახლაც გიმეორებთ, რომ ის კაცი, რომელიც მამა-პაპისაგან ბოძებულ სჯულს უღალატებს, უსინიდისო და არა სანდო კაცია? ამიტომაც არ გვიღალატნია ჩვენი სჯულისათვის 25 საუკუნის განმავლობაში და ვერც შემდეგში ვუღალატებთ, მხოლოდ იმას კი მოგახსენებთ, რომ ღვთისგან ნაჩვენებ სჯულს არ გავსვრით რომელიმე პოლიტიკურ ან დიპლომატიურ სამოსელში გახვევით! ამიტომ გთხოვთ ნუ იკადრებთ იმის თქმას, თითქოს მე სარწმუნოებაზე ხელს ვიღებდე, რადგანაც ასეთი თქმა სიცრუე და ცილისწამება იქნება.

ჩვენ ვეთანხმებით ბ-ნ რაბინს, რომ ქართველი ისრაელებიც სხვა ებრაელებთან ერთად ვნაღვლობთ, ვსტირით და ვგლოვობთ იერუსალიმის დაკარგვას, და წმინდათ ვასრულებთ ყველა საერთო წესებს ებრაელთა სჯულისას, მაგრამ ეს ხომ მაინც მარტო სარწმუნოებრივ ერთობას მოწმობს და არა ეროვნულს? დღეს რომ რამოდენიმე ასეულმა ქრისტიანმა მოინდომოს ისრაელობის მიღება, ნუ თუ ვალდებულნი არ იქნებიან ისინი მთელი ქვეყნიერობის, ებრაელობასთან ერთად იტირონ და იგლოვონ სიონზე? იუქმონ იგივე ფესახი, ფურიმი და ხანუქა, მიუხედავათ იმისა, რომ მათ ექნებათ თავისი საკუთარი ენა ისტორიული ბედ-იღბალი, სამშობლო, ზნე ჩვეულება წარსული, კულტურადა სხ ..?

ავიღოთ მაგალითად, მთელი დედა მიწის ქრისტიანობა, ან მაჰმადიანობა, მიუხედავად ეროვნული სხვადასხვაობისა, მათ აერთებთ სარწმუნოება. ხომ ყველა ქრისტიანი ინახავს და უქმობს დიდ მარხვებს, ქრისტეს შობას, აღდგომას, ნათლიღებას და სხვა? ხომ ყველა ქრისტიანი — იქნება ის ბერძენი, ქართველი, რუსი, ინგლისელი თუ გერმანელი — ერთნაირად თაყვანსა სცემენ ქრისტეს ნაშთებს იერუსალიმში? ხომ ყოველი მაჰმადიანი — ოსმალოა ის, სპარსელი, ქართველი, ინდოელი, ალბანელი, თუ სხვა — უქმობს ბაირამს და მაჰმადის სჯულის სხვა უქმეებს? განა სულითა და გულით არ მიილტვიან ისინი ყოველ წელს ასობით და ათასობით მექქა და მედინასაკენ? ყველა ზემოხსენებული მაგალითები განა ნათელს არ ჰყოფენ მეცნიერების მიერ აღიარებულ იმ ჭეშმარიტებას, რომ ეროვნება და სარწმუნოება არსებითად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან? მაგრამ ნათელზე ნათელია, რომ ბ-ნი რაბინი არც კი ცდილა მისი წერილებისა და მიხედვით გაეგო და შეესწავლა ეროვნების დამახასიათებელი ფაქტორები, თორემ არც იმას იტყოდა, რომ „ეროვნება სარწმუნოებამ შექმნაო“.

თქვენ ხომ მარტო ის საბუთი გაქვთ ხელში, ბ-ნო რაბინო, რომ „ვინაიდგან ჩვენც ისრაელის რჯული გვწამს, ამიტომ ებრაულ ეროვნებას ვეკუთვნით და არა ქართველსა“-ო. სიმართლეს მხოლოდ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მცირე შენიშვნა.

საკომერციო სასწავლებლების საჭიროებას საქართველო დიდი ხანია გრძნობდა და აი ასეთი სასწავლებელი წასულ წელს ქუთათურმა ვაჭრებმაც დააარსეს. სასწავლებლის მმართველად მიიწვიეს ბ. კოტილევსკი, რომელიც დღემდის სინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. როგორც გავიგეთ ის სტოვებს ამ სასწავლებელს მივაქცევთ ხსენებულ სასწავლებლის გამგე-კომიტეტის ყურადღებას ამ გარემოებას და იმედი გვაქვს, რომ კომიტეტი გამოიჩენს მხნეობას და შორს გამჭვრეტელობას და ამ სასწავლებელს ამ ოქროს აკვანს, მოუძებნის ისეთ მამას, რომელიც ღირსეულად აღზდის ჩვენ შვილებს და მით გაუმართლებს ქართველ ერს მომავალ იმედს.

მადლობა ღმერთს ჩვენს ქვეყანაში საკმარისად არიან მომზადებულნი ქართველნი ამ დიდი საქმისათვის. მათ შორის კომიტეტი გამოარჩევს ღრმა განათლებულს, ახალგაზრდას, ცოცხალი ენერგიით სავსეს, ნამდვილ ქართველს და თვისი მამულის გულშემატკივარს, რითაც სასწავლებლის კომიტეტი დიდ სამსახურს გაუწევს ქართველ ერს.

ვანო.

# მარტოობა.

ცა მოწმენდილი უსაზღვრო ველი,
მზე მხიარული. მწვანე მიდამო.
აქ სევდა-ნაღველს არ აქვს ადგილი,
სხვისთვის შვებაა აქ სამუდამო.

მე კი ჩამოვჭკნი... მეკითხებიან:
,,რა მოგივიდა? რისთვის გამხდარხარ?''
რა უპასუხო ერთი მითხარი!...
შენ ჩემთან არ ხარ, შენ ჩემთან არ ხარ...

ბ. მეგრელიშვილი.

21 ივლისს, დილის 8½ საათზე ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

## ქრისტინე დავით ქორქაშვილის ასული ბახტამისა

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობართა და ნაცნობთ მისი ღრმად დამწუხრებული შვილები ნატალია, ელენე, სერგი, არკადი და ლუკა ლუკას ასულნი და ძენი ბახტაძეები.

მიცვალებული გუშინ ნაშუადღევის ოთხ საათზე წაასვენეს ღ. ხონში დაკრძალვა მოხდება კვირას, 24 ივლისს, ხონის წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში, იქ სადაც დასაფლავებულნი არიან მღვდელი ლუკა და შვილი მისი ილია ხონელი.

2—255—1

# ზოგიერთი ფაქტიური შენიშვნა.

II

ფედერალისტების პუბლიცისტები სერიოზულად ამტკიცებენ, რომ რუსეთის სოციალდემოკრატიის მეთაურები: პლეხანოვი, პეტროსოვი, ლენინი და სხვები, ამავე პარტიის მეორე სიეზდზე, რომელსაც დამფუძნებელი ხასიათი ჰქონდა და რომელმაც ოფიციალური პარტიული პროგრამა შეიმუშავა, ენის თავისუფლების წინააღმდეგ ილაშქრებენო (იხ. შოთა დადიანის წერილი „მეგობრის“ 108 ნომერში).

აქედან სჩანს, რომ ფედერალისტების აღმოჩენით პლეხანოვი და მისი მგობრები მომხრე ყოფილან გარუსების პოლიტიკისა და დამორჩილებულ ეოების ენათა მექანიკურად მოსპობის.

ფრიად სამწუხაროა, რომ ასეთი სასაცილო ბრალდების სერიოზულად გარჩევა და დარღვევა გვიხდება, ვინაიდგან ეს იმისი მაჩვენებელია, თუ რამდენად არაკეთილშობილური ხასიათი მიიღო ჩვენში პარტიულმა მტრობამ.

ბ. ფედერალისტების პუბლიცისტებმა კარგად უნდა იცოდენ, რომ სხვა ერების ენათა დევნა აუცილებლად გულისხმობს

ე. ი. ისეთ წყობილებას, სადაც ვერც პლეხანოვი და ვერც მისი მეგობრები ვერ იხეირებენ, მით უმეტეს პლეხანოვი, რომელსაც თვით საფრანგეთის რესპუბლიკა ვერ ინელებს (პლეხანოვი 1894 წელს განდევნეს საფრანგეთიდან).

გარდა ამისა პროგრამის პროექტში, რომელიც პლეხანოვმა და მისმა მეგობრებმა შეიმუშავეს და რომელიც მეორე სიეზდზე მიღებულ იქმნა, მკაფიოდ იყო გამოთქმული პროგრამა მოითხოვს ყველა მოხელეების არჩევას ხალხის მიერ.

ასეთ მოთხოვნილების განხორციელება კი ძირიან ფესვიანად სპობს სხვა ერების ენათა დევნის შესაძლებლობას.

თუ კი პლეხანოვი, ლენინი, პეტროსოვი და სხვები შოვინიზმით იყვნენ გამსჭვალულნი, თუ კი ისინი იზიარებდენ ისეთ პოლიტიკურ სიბეცეს, რომელიც მხოლოდ მემარჯვენეებს ეპატიება, გასაკვირალია, რატომ მოითხოვდენ ისინი ერის თვითგამორკვევის უფლებას?

განა ერი შეურიგდება იმ სახელმწიფოს, რომელიც მას დედაენას უსპობს, განა ისეთ შემთხვევაში ის თვითგამორკვევის უფლებით არ ისარგებლებს და მას არ გამოეთიშება? მაშასადამე, პლეხანოვი, ლენინი და სხვები ერთი ხელით სპობენ იმას, რის შექმნასაც მეორე ხელით სცდილობდენ. ვარწმუნებ ფედერალისტებს, რომ მათ საკმარისად შესწევს აზროვნების უნარი, რომ ასეთ ბავშურ წინააღმდეგობაში არ ჩაიგდონ თავი.

ბ. შოთა დადიანი, რომელიც სხვებთან ერთად ფედერალისტების ორგანოში ასეთ ყალბ აზრებს ავრცელებს თვითონ გრძნობს ლოღიკურ შეუსაბამობას ენის დევნისა და თვითგამორკვევის პრინციპის შორის და ალბად ამიტომ, რიხიანად ბრძანებს, სწორედ სასაცილო კი იქნებოდა ვინმეს, თუნდ სოციალდემოკრატებს, აეკრძალათ თვითგამორკვევის უფლებაო. ამის მთქმელს წარმოუდგენია, რომ თუ ერმა თვითგამორკვევა მოისურვა, ვისიმე მოსარჩლეობა მისთვის სრულებით საჭირო არ იქნება.

ადვილი გასაგები უნდა იყოს, რომ რუსეთის სახელმწიფოში თვითგამორკვევის უფლება არც ერთ ერს არა აქვს, ეს უფლება მხოლოდ ბრძოლით უნდა იყოს მოპოვებული, ამისათვის კი აუცილებლად საჭიროა, რომ არა მარტო ფედერალისტებმა, არამედ მთელმა რუსეთის დემოკრატიამ სხვა უფლებებთან ერთად თვით გამორკვევის უფლებაც ბრძოლის მიზნად გაიხადოს.

თუ კი ბ-ნ შ. დადიანს ეს აღარ ესმის, ეს ზედმეტი დამამტკიცებელია იმისა, რომ მას ჯერ არც კი აქვს უფლება პოლიტიკურ საკითხების შესახებ წერისა.

პოლონელ ერს დიდი სურვილი ჰქონდა თვითგამორკვევის, მაგრამ ვინ არ იცის, რომ იმ ერის აუარებელმა მსხვერპლმა ამ სურვილების განხორციელებისათვის შეწირულმა, უნაყოფოდ ჩაიარა, და ეს მოხდა იმიტომ, რომ თვითგამორკვევა აღკრძალულია რუსეთში, რაც შეეხება ფინებს, მათ იმ უფლებათა დაცვაც ველარ მოახერხეს რაც ჰქონდათ.

ბ. შოთა დადიანი თვით გამორკვევის უფლებას იეზუიტურ მოთხოვნილებათ სახავს ეს საკითხის გადაჭრა კი არა, მისი წამოყენებაც არ არისო, ბრძნულად გაიძახის იგი ეს კი იმიტომ ხდება რომ, არც მას და არც მის თანამშრომლებს ამ უფლების შინაარსი სრულებით არა აქვსთ გათვალისწინებული. თუ რას ნიშნავს თვით გამორკვევა, ეს ძალიან გასაგებ ენით განმარტა მეორე სიეზდზე საპროგრამო კომისიის წევრმა მარტინოვმა. მან განაცხადა—თვით გამორკვევის უფლება ნიშნავს ერის უფლებას დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულის შექმნისასო. ასევე განმარტა ეს მუხლი პლეხანოვმაც თავის საკომენტარიო წერილში, რომელიც 1902 წელს ჟურნალ ,,ზარია''ს მესამე ნომერში იყო მოთავსებული. რა არის ამაში იეზუიტური, ან რატომ არა არის ეს საკითხის არა თუ გადაჭრა არამედ წამოყენებაც, ეს ჩემთვის მიუწდომელია. რასაკვირველია, სავსებით ეს საკითხს არ სჭრის, მაგრამ ამას არც ავტორები ფიქრობდენ, თვით გამორკვევის უფლებით მათ სურდათ მხოლოდ ერის უფლებათათვის მაქსიმალური გარანტია შეექმნათ, ისინი მოითხოვდენ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს აუცილებლად გაეწია ანგირიში ეროვნულ ერთეულის კოლექტიურ ნებისათვის არსებულ სახელმწიფოსთან დამოკიდებულების ფორმის ჩამოყალიბებაში.

მე არ უარვყოფ მშრალ ფაქტს. რომ პლეხანოვი ლენინი და სხვები წინააღმდეგნი იყვნენ პროგრამაში ცალკე მუხლი შეეტანათ ენათა თანასწორობის შესახებ მაგრამ ეს ველიკოროსულ შოვინიზმით კი არ იყო გამოწვეული. ვისმე რომ წინადადება სიეზდისთვის მიეცა, შეეტანეთ მუხლი კოოპერატივების თავისუფლების შესახებო, პლეხანოვი და მისი მეგობრებიც აუცილებლად გაილაშქრებდენ ამის წინააღმდეგაც, მაგრამ არა იმიტომ რომ კოოპერატივების თავისუფლების წინააღმდეგი ყოფილიყვნენ. ისინი იტყოდენ—ჩვენ კავშირების თავისუფლებას მოვითხოვთ და ეს კი კოოპერატივების თავისუფლებასაც გულისხმობსო. ენის თანასწორობის შესახებ პლეხანოვმა და ლენინმა განმარტეს ასეთი ფორმულა ფეტიშისტურიაო, ენა ადამიანთა დამოუკიდებლად არ არსებობს, და ვინაიდან ჩვენ მოვითხოვთ ყველას თავისუფლებას განურჩევლათ ეროვნებისა ამით ენის თანასწორობის პრინციპი სავსებით დაცულია და ამის შესახებ ცალკე მუხლიც ზედმეტიაო მე არსებითად სავსებით ვიზიარებ მათ აზრს, მაგრამ მიუხედავად ამისა ძლიერ სასიამოვნოა, რომ სიეზდმა მიიღოს ზემოხსენებული წინადადება ვინაიდან შემდეგში ადვილად გასაგები, მაგრამ შედარებით უფრო განყენებულ ფორმაში ჩამოსხმული ჭეშმარიტება ბევრთათვის ჩინური ანბანი შეიქმნა.

ეხლა ჩვენ შევუდგებით იმ უკანასკნელ ბრალდების გარჩევას, რომელსაც ფედერალისტების პუბლიცისტები რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ბელადებს უყენებენ. ისინი ამტკიცებენ, თითქო რუ-

---

შინ გაიგებთ, როდესაც განგებ თვალებს არ დახუჭავთ და დაუკვირდებით რეალურ სინამდვილეს ამას გარდა, ნუ თუ თქვენთვის ჯერ კიდევ უხილავი რამაა ის გარემოება, რომ ქართველი ისრაელის გულის ნადები და სულის კვეთება (ფსიქოლოგია) სულ სხვაფერია, ვიდრე რუსის ებრაელისა? განა ვერა ხედავთ ყოველი ჩვენგანი ისევე ვერ შევთვისებივართ რუსის ებრაელს, როგორც თვით რუსს, ან პოლონელს? მიმითითეთ კაცობრიობის ისტორიაში ერთ ისეთს მაგალითზედ, საცა ორი სხვადასხვა რჯულის მქონე მოძმე ასე შეთვისებოდენ ერთმანეთს, როგორც ჩვენ და დანარჩენი ქართველები. ამაზედ მეტი პსიქოლოგიური ფაქტი რაღა გინდათ? მე მოძმე ქართველებთან უკეთა ვგრძნობ თავს, ვიდრე, გიმეორებთ უცხო რუს-ამერიკის ებრაელებთან.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ იტყუებს ჩვენ შორის თავს და სხვებსაც ატყუებს, ეს თქვენ თითონ იცით. ჩემი თქმა მეტია. განა საკვირველი იქნება, რომ მართლმადიდებელი ქართველი ძმურად მოეპყრას, მაგალითად, კათოლიკე—ქართველს? მაშ ან ჩვენდამი ძმურ მოპყრობაში რა არის გასაკვირი? ჩვენ ჩვენი რჯული გვქონდა და მაინც გვპატრონობდენ ქართველები, გვაქვს და ახლაც გვფარველობენ საუკეთესო ქართველი მამულიშვილები. ხომ კარგათ ვგრძნობდით თავს, სანამ საქართველო დამოუკიდებლობას დაჰკარგავდა? ხომ ცუდათ ვგრძნობთ თავს მას აქეთ, რაც მთავრობამ და მასთან ერთად გადაგვარებულმა უცხო ფსიქოლოგიის გავლენის ქვეშ მყოფმა ბააზოვებმა ქარელის კოოპერაციის საზოგადოებისავით (აფსუს კოოპერაცია*) გამოგვთიშა დედა საქართველოს ოჯახიდან და რუსის ებრაელებთან ერთ დაფაზედ წამოგვასკუპა? მაშ რაღათ გვესაჭიროება ჩვენ იმაოში გათქვეფა? რაღათ ასხავთ კიდევ თქვენ მიერ გაჩენილ ცეცხლზე ნავთს?

უსაბუთობა თქვენი სენი ყოფილა, ბატონო რაპინო, მაგრამ ერთში კი მოლოდინსაც გადააჭარბეთ. რას ნიშნავს თქვენი შემდეგი სიტყვები: „დღეს ქართველად აღიარებთ თავს და ღვთიდგან დაკავშირებულ ერს გაურბიხართ, ხვალ რუსები მოგეწონებათ და მათთან გაიქცევით“-ო?

გაქცევას თქვენ თუ ხართ დაჩვეული, ბ-ნო რაბინო, თორემ მე და ჩემი თანამოაზრენი თავის სამშობლოს და თავის თანამოძმეებს თავსაც კი ვანაცვალებთ

აგვიხსენით, ღვთის გულისათვის რას ნიშნავს თქვენი მეორე თქმაც:

„ქართველებს ვალი უნდა გადაუხადოთ არა მაგარი ფრაზებით, ყვირილით და ლაპარაკით, არამედ საქმით“-ო. რით უნდა გადაუხადოთ ჩვენს ერს და სამშობლოსაქართველოს ვალი? სიონიზმის გავრცელებით ხომ არა? ან შეიძლება პალესტინაში გადასახლებით „ებრაელთა დამოუკიდებელ რესპუბლიკის დასაარსებლათ“, როგორც გვაუწყა გაზ. „სამშობლო“-ს მე-405 ნომერში მოთავსებულმა დეპეშამ?

როგორ გგონიათ ძვირფასო მკითხველო, ჩვენში რომ სიონიზმმა ნაყოფი გამოიღოს გამოვეყოფით თუ დაუკავშირდებით მოძმე ქართველებს? თუმცა ამაზე ერთი პასუხის მეტი შეუძლებელია, მაგრამ რაკი ონის პატივცემულ რაბინს ანბანური ჭეშმარიტების გაგება არა ჰსურს, მეც მოვახსენებ, რომ სიონიზმი დაღუპავს ქართველ ისრაელებს. ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ამაყად მოვითხოვოთ ყოველივე მოძმე ქართველებისაგან, როცა ჩვენ-კ მათ გვერდში ამოვუდგებით და როგორც ერთი დედის შვილები საქართველოსკეთილდღეობისათვის ვიზრუნებთ, ხოლო თუ რაღაცა სიონიზმი მივიღეთ, მაშინ ყოველივე უფლებაზე ხელი უნდა ავიღოთ და მუნჯებივით ვსდუმდეთ სასწაულის მოლოდინში.

ის გარემოება კი, რომ სხვა ქვეყნების ებრაელებში სიონიზმს ქადაგებენ, ჩვენთვის, ქართველი ისრაელებისათვის მისაბაძი არ არის, რადგანაც ჩვენ სულ სხვა ფსიქოლოგიის ხალხი ვართ—მეთქი—მოგახსენეთ, სხვაფრივ კი, აბა როდის ვეწინააღმდეგებით ისრაელების რელიგიურათა და კულტურულად აყვავებას? დაგვიმტკიცეთ ბ-ნო რაბინო, რაში გამოიხატა ის, თითქოს თალმუდ-თორაების გახსნა არა მსურდეს. თუ პირიქით მევე ვაღიარე ლაშონაკოდეშის საჭიროება, როგორც სარწმუნოებრივი ენისა და განა თვით სიტყვა „ლაშონ აკოდეშ“ არ ნიშნავს „ენა წმინდა“? ღვთიურ ენას? მაშ ვინ ატყუებს საზოგადოებას, მე თუ თქვენ? ან რა არის უარყოფითი იქ, რომ მე „პაპაზე მეტი კათოლიკე ვიყო. ეს ხომ მხოლოდ უფრო ჩემს დადებითმხარეს ამტკიცებს, ვიდრე უარყოფის!? თუ რომელიმე ქართველს ნაკლებ უყვარს თვისი ეროვნება, განა მეც ისე უნდა მოვიქცე? თაყვან საცემია ქართველი ისრაელობა, თუ ქართული ენა და ზნე ჩვეულებანი სხვა ქართველებზედ უკეთ შეინახეს.

აი რას ამბობს ამაზედ ქართული ისტორიის ზედ მიწევნით მცოდნე დიდათ პატივცემული ზ. ჭიჭინაძე: „თვით ქართველმა მაჰმადიანებმა დაჰკარგეს ქართული ენა და ებრაელებმა კი შეინახეს; ძველათ ოსმალურად ქართველ ებრაელთა ქუჩას „გურჯი მეჰელე“ ანუ ქართული უბანი ეწოდება!!*)

... „საქართველოსადმი ქართველ ურიასაც ისეთივე სამსახური მიუძღვის და უფრო უკეთესიც, როგორც თვით ქართველს“**) ესეც რომ არაფერი იყოს, სირცხვილია თქვენი, როდესაც ანტისემიტად მსახავთ, როდის გავილაშქრე მე ებრაელ ერის წინაღმდეგ? ასეთი ცილისწამება არ ეკადრება ისეთ „რაბინს, რომელიც თავისი წოდებით არის წყარო ყოველი სიმართლისა და ზნეობრივობისა*)“ მიჩვენეთ ჩემს წერილში თუ გინდ ერთი სიტყვა, სადაც შაბათის კვირაზე შეცვლის სურვილი გამომეთქვას. ჩვენ საჯაროდ ვაღიარეთა, რომ რჯულს არ ვეხებით მეთქი? ან მოძმე ქართველებმა როდის გვაიძულეს მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში შაბათ დღეს მუშაობა? სადა ვთქვი ან ის, რომ სიონი და იერუსალიმი ალმოიფხვრეს და თორულად არ ვილოცოთ მეთქი? ასეთი აზრები ხომ მტკნარი სიგიჟე იქნებოდა? მაგრამ „პასუხი“ აშკარად მოწმობს რა გინდათ სთქვათ. სახელდობრ ის, რომ თუ კაცმა თავის ეროვნება აღიარა, უსათუოდ სარწმუნოებას გაექცევაო, რაც ერთგვარი ხრიკია თქვენის მხრით. ნუ თუ არ უქმობენ მაჰმადიანები პარასკევ დღეს ? ნუ თუ სხვადასხვა ეროვნების კათოლიკენი ლათინურ ენაზედ არ ლოცულობენ? მაშ რაღა დაგვიშლის ისრაელ-ქართველებს თორულად ვილოცოდ და ჩვენებურად ვადიდოთ ღმერთი! თქვენ კი ასხვაფერებთ ჩემს ნათქვამს და გინდათ შეუგნებელ მასსაში სახელი გამიტეხოთ ვერ არის ეს კარგი საქციელი თავის მოყვარე რაბინისათვის!

დიდ არამ ბამის შელომო ბენ გაბლორის, იუდა ალეფის და სხვათა ნაწარმოებებს, აგრეთვე რუსეთიდან ებრაელების ჩამოყვანას თალმუდის სასწავლებლად, ჩვენ ვუყურებთ როგორც სასულიერო სარწმუნოებრივ რამ საქმეს და არა ეროვნულს. რაც შეეხება შალომ ალეიხემის მიერ აღწერილ შაბათ ღამის ვახშმობას, აქაც ხომ მხოლოდ სარწმუნოებრივ ადათებთან და არა ეროვნულ ზნე ჩვეულებებთან გვაქვს საქმე? თუ ისრაელის სარწმუნოება ქმნის „საერთო პსიხოლოგიას, საერო ზნეობრიობას და სულიერ გაკვეთილებს“, განა ამასვე არ ქმნის ქრისტიანთა ან მაჰმადიანთა რჯული სარწმუნოებრისავე დარგში? განა ვინ გიშლით „წმინდა ებრაელის სულის პატრონო“ გეზრუნათ რუსის ებრაელებისათვის და გეთარგმნათ ჩვენი მგოსნების ნაწარმოებნი! ჩვენ კი თქვენს უთარგმნელადაც ძლიერ კარგათ გვესმის ისინი მშობლიურ ენაზედაც

დასასრულ უნდა მოგახსენოთ, რომ როგორც მე, ისე ყოველი მკითხველიც მოველოდით თქვენს „პასუხში“ იმ საბუთებს, რომლებითაც დაგვიმტკიცებდით, რომ არა ვართ ქართველები ეროვნებით; ნამდვილათ კი თქვენ მოყევით ჩემს ლანძღვა-გინებას, მერმე კი სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ჩვენი ეროვნული საკითხის გაშუქებას თქვენს „პასუხშიც“ დაგძლიათ პირადმა ინტერესებმა და ვერ მოითმინეთ რომ არ გაგელანძღათ და მაბეზღარი არ გეწოდებიათ, თქვენი მოწინაალმდეგე რაბინ ელიაშვილისათვის, რომლის ინტერესების ვითომდა დაცვას მე თქვენ თავზედ მახვევთ. არა ბატონებო! თქვენი პირადი საკითხები თქვენვე (რაბინებმავე) გადასწყვიტეთ; საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტა კი მეტს სულგრძელობ?ას და შეგნებას მოითხოვს.

რაც შეეხება ქართველ საზოგადოებას, არ შემიძლია საჯაროდ არ აღვიაროთ რომ ძალიან უყურადღებოთ აქვს მიტოვებული ქართველ ისრაელთა საკითხი.

არ დაგვივიწყდესთ კი ქართველებო, რა რჯულისაც არ უნდა იყოთ, დიდებული მგოსნის სიტყვები რომ.

ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველანი;
ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შველანი

ი. ხ–შვილი.

---

*) არ შეგვიძლია ჩვენი და მთელი ქართველი ისრაელების გულისწყრომა და პროტესტი არ გამოუცხადოთ საქართველოს ისტორიაში იმ უმაგალითო ფაქტს, რომელსაც ქარელის კოოპერაცი ს საზოგადოებაში მოხდა. ავტ.

*) იხ. ზ. ჭიჭინაძე: ქართველი ისრაელნი საქართველოში გვ 24.

**) იგივე გვ. 30.

**) ბ ნ ბააზოვის წერილი „ს ფურ“. მე-№485-ში.

სეთის სოციალ-დემოკრატიის იდეურად აღმზრდელ პირების, ი. პლეხანოვის, ლენინის და მათ მეგობრების ზედგავლენით უარყოფდეს ქართველ მარქსისტების უმრავლესობა საქართველოს

მე თამამად და სიამაყით ვაცხადებ, რომ არასოდეს არც პლეხანოვი და არც ლენინი პოლიტიკურ არც საერთოდ, არც კერძოდ საქართველოსას არ ებრძოდენ. პირიქით, როცა შემთხვევა ჰქონდათ ყოველთვის ენერგიულად იცავდენ პოლიტიკურ პრინციპს. უფრო მეტი, ავტონომია მათ პროგრამის პროექტშიდაც შეიტანეს და მერე სიეზდზე ერთხმად გაიყვანეს. ქართველ სოციალ დემოკრატების უმრავლესობას, რომ ეს პროგრამა საკმარისად გაეთვალისწინებია, მასში არ ამოიკითხავდა გეოგრაფიულ

რუსეთის სოციალდემოკრატიისაგან, არამედ დაინახავდა, რომ მათი პროგრამა მოითხოვს ეროვნულ სხეულებისას.

ვლ ქემხვარი.

# რუსეთი.

სენატს დაუდგენია იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რათა არ გადაასახლონ იმ ებრაელთა ოჯახობა, რომელნიც ჯარში არიან გაწვეულნი.

— —

სახალხო სწავლა-განათლების მინისტრმა იგნატიევმა საკითხი აღძრა უმაღლესს სასწავლებელთა რიცხვის გამრავლების შესახებ. იგნატიევის აზრი შეწყნარებულ იქნა, დააწესეს გაიხსნას რაც შეიძლება მეტი სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი...

— —

**რუსეთი და ლაზისტანი.** გაზეთ: Петрог. Вѣд.-ში ბ-ნი მანავსკი არჩევს ვეშაპელის წიგნს „ოსმალეთის საქართველო“ს, რომლის გარჩევა ჩვენ უკვე გვქონდა მოთავსებული.

ავტორს მოსწონს ვეშაპელის წიგნი და მწუხარებას გამოთქვამს, იმის შესახებ რომ ბრაზილია უფრო შესწავლილი და ნაცნობია რუსეთისთვის, ვიდრე საქართველო, მაშინ როდესაც ამავე საქართველოს შესახებ მრავალი წიგნი მოიპოვება ფრანგულ, ინგლისურ ენებზეო.

— —

### უცხოეთი.

გერმანიის მთავრობას სკანდინაველ სოციალისტებისთვის ნება არ დაურთავს გერმანიაში განზრახულ სოციალდემოკრატთა ყრილობაზე დასწრებისა.

## ქართველების საზოგადო მოღვაწეთა პინპლაობის გამო.

ის, ვინც ცოტათი მაინც დაკვირებია ქართველ ხალხის აწმყო - ყოველ მხრივ უმწეო—მდგომარეობას და ან ოდნავ მაინც თავი შეუწუხებია თვალი გადაევლო საქართველოს როგორც სანეტარო, ისე მისს სამწუხარო არსებობის ისტორიისთვის, იმისთვის თვალცხადლივი უნდა იყოს, თუ რამ მიგვიყვანა ქართველობა იმ მდგომარეობამდის, როგორშიაც ამ ჟამად ვიმყოფებით. დიახ! სწორედ ქართველთა ხალხის წინა საუკუნოებში მესვეურთა ერთმანეთ შორის შეუთანხმელობამ და ურთი ერთა გაუტანლობამ მოგვიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდის, რასაც ქართველი ხალხი ღრმად უნდა ითვალისწინებდეს ..

საქართველოს ისტორიიდან მარტო დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის ტრაგედიული ამბავის გახსენებაც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ იმაში, თუ იმ თავიდგან აქომამდე როგორ იდევნება ისევ თავისიანებისაგან სამშობლოს ღრმად მოყვარული პირები და იმათგანვე ხელის შეწყობით როგორ უდროვოთ ესალმებოდენ ესე ვითარნი წუთისოფელს უცხოთაგან, სამშობლოსაგან ლტოლვილნი, დევნილნი და სასიკვდილოთ განწირულნი!... ასეთ, მაგალითების მოყვანა აქ საჭიროთ აღარ მიმაჩნია, ვინაიდან ამაების გახსენება ყველას, მამულის მოყვარულთ, ბოლმითა და ვარმით უვსებს გულს

თუ მეცხრამეტე საუკუნის წინად ასეთნაირ მოქმედებებმა იმ მდგომარეობამდის მიგვიყვანეს, როგორშიდაც ამ ჟამად ვიმყოფებით, თითქმის ცოტათი გამოკლებით ამ მხრივ არც მეცხრამეტე საუკუნე ჩამორჩება წინა საუკუნოების ნამოქმედარს, როდესაც ჩინ-ორდენ და ზიზილ--პიპილებზედ იცვლებოდა სამშობლოს სიყვარული, მაგრამ სამოციან წლებს აქეთ და ნამეტურ ოთხმოც-ოთხმოც და ათი წლებიდან სურათი ოდნავ მაინც უნდა შეცვლილიყო, ვინაიდან ამ წლებიდგან ქართველთა აზროვნებას და მამულიშვილობის შეგნებას რადიკალურათ სულ სხვა ელფერი ემჩნევა. ამ მხრივ ყველაზედ მეტ თვალსაჩინო ხანათ უნდა მივიჩინოთ მდგომარე საუკუნის განვლილი წლები, ვინაიდან ამ წლებში მრავალმა გრიგალისებურმა ქარიშხალმა გადაუარა საქართველოს თავს და ამ ჟამად მეტშიდაც ვიმყოფებით.. განვლილი წლები იმითიათაც არიან აღსანიშნავი, რომ სწორეთ ამ ხანებში გამოაშკარავდა ჩვენი, ისედაც მცირე რიცხოვანი, მესვეურების სხვა და სხვა ჯგუფებათ და პარტიებათ დაყოფა და ურთ-ერთ შორის შეურიგებელ მოწინაალმდეგებათ დარაზმვა, რის ნაყოფსაც ახლა თვალსაჩინოთ ვიმკით...

აი, სწორედ ასეთ, დროსა და ჟამს, სწორედ იმ ხანაში, როდესაც ქვეყნის ყველა სახელმწიფოებში მომწყვდეულნი დაჩაგრული ყველა ეროვნებანი თავიანთ თავის რაღაცას უპირდებიან, რაღაც სასიკეთო მიზნებისაკენ მიისწრაფიან (მაგ სომხები, ჩეხელები, ირლანდიელები, არაბები და სხვები) ჩვენში კი რას ვხედავთ: ჯგუფობანოების ბარობით ლამის ერთმანეთი სულ დავჭამოთ, რითაც ჩვენს მტრებს საბუთს ვაძლევთ ჩვენი უბედურებით კვლავ დასტკბეს, ეს სწორეთ მაშინ, როდესაც, ისედაც ღონე მიხდილი ქართველი ერი და მთავარი გამოძრავებელი ძარღვი სისტემატიურათ უდუნდება... აი, ბატონებო, ნაყოფი ჩვენი შეუთანხმელობისა და ერთ-ურთ გაუტანლობისა.

სწორეთ ასეთ დროს გვჭირდება ერის გამოჩენილი შვილების წინამძღვრობა და, დახე ჩვენს უბედურებას, ამისთანა დროს და ჟამს ერის ეს გამოჩენილი შვილები, ერთმანეთის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ებმიან და წინამძღვარობის მაგიერ ზედმეტი დაქსაქსულობა და ანღრევა შემოაქვთ ჩვენს ერში? .

და ეს ხდება მაშინ, როდესაც არ ვიცით, თუ ხვალინდელი დღე რას უქადის ჩვენ ერს, ჩვენს სამშობლოს... დროა ამ სამწუხარო გარემოებას მოეღოს ბოლო და ყველა, სამშობლოს მოყვარულმა პირემმა ამ საზოგადო მოღვაწეებში ჩამოაგდოს მშვიდობა და ძმური სიყვარული *)

მღვდელი ვლადიმერ მაჭარაშვილი.

## პროვინციის ცხოვრება.

**სურამი.** დ. სურამი რაღაც თავისებური დაბაა. აქამდისაც ვერ გამიგია ადგილობრივ მცხოვრებთ სურვილი ან საქმე. მრავალი საზოგადო დაწესებულებანია დაარსებული, მაგრამ მოქმედობით კი არცერთი არ მოქმედობს დანიშნულებისამებრ ისე, როგორც შეჰფერის. არსებობს ბიბლიოთეკა—სამკითხველო, ისიც სადღაც მეორე სართულში; თუ საგანგებოდ არ მოსძებნე ვერ მიაგნებ. მოსდის ერთი-ორი ქართული გაზეთი, მაგრამ მკითხველები კი არსად სჩანან. საჭიროა სამკითხველოს ქუჩის პირას კარგ მისავალ ადგილს გადატანა. „თუ ის მამადთან არ მიდის, მაჰმადი მივა მასთანო“, თუ ხალხი არ მოვა ჩვენთან, მაშინ ჩვენ უნდა მივიდეთ ხალხთან.

დრამატიულ საზოგადოებაზე ხომ ნუღარას მკითხავთ „ვიველსკა“ აქვს... ეგ არის და ეგ. ეს „ვიველსკა“ თუ გვამცნობს მის არსებობას, თორემ წარმოდგენის... თქვენ არ მომიკვდეთ, მისი წარმოდგენა თქვენ აქ ვერ ნახოთ არის ისე, არც მკვდარი, არც ცოცხალი და არც ქამი სჩანს მისთვის ხოლმე ..

ელექტრონის განათება ჰქონდათ სურამლებს და ეხლა არც ის არას. ამბობენ იქნებაო. მანქანებიც მოზიდეს ასე, რომ ეგებ ამ ბოლო დროს ეღირსოს რამე. კლუბიც ღიღილობს, ცოტა ეს თუ ამცნევს სიცოცხლეს, თუმცა ქართული გაზეთების გამოწერა ამ საზოგადოებას არც თუ ისე ეინტერესება ..

მილოზი.

*) სურვილი მამა მაჭარაშვილისა კარგი რამ არის, მაგრამ ვაი რომ გამგონე ცოტაა საქართველოს ისტორიის უკანასკნელმა ხანამ თავისი მომაკვდინებელი გავლენა მოახდინა ქართველობაზე და ვიდრე ეროვნული შეგნება არ გავრცელდება მშრომელ ხალხში, პირადი ჟინი ზოგიერთი ჯგუფებისა, სამწუხაროდ ასე მალე ვერ დაცხრება.

რედ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

(სიმართლის აღსადგენად.)

წარსული კვირის განმავლობაში ქართულ პრესაში დაიბეჭდა ორი წერილი ახალ-სენაკიდან; - ერთი მათგანი ბ. „ბუნემარისა“ „სამშობლოს“ 6 ივლისის №-ში, ხოლო მეორე ბ. „მუქურ ვარსკვლავის“ სახალხო ფურცლის“ 12 ივლისის ნომერში.—ორივე წერილი ეხება წ.-კ. გ. საზ. სენაკის განყოფილების მორიგ კრებას, რომელიც მოხდა 3 ივლისს.

ბ. „ბუნემარის“ კილო საკმაოთ ობიექტიურია, ცოტათი გულუბრყვილობის დაღი რომ არ ესვას. სამაგიეროდ ბატონ „მუქურ-ვარსკვლავის“ წერილის კილო კი ვერ არის მართებული.

ის დამობს მკითხველ საზოგადოებას მოაჩვენოს რაღაც პარტიულ ნიადაგზე კინკლაობა ამ კულტურულ საქმეში ასე გასინჯეთ, ბ. „მუქურ-ვარსკვლავს“ პარტიათა ბლოკებიც კი აღმოუჩენია ამ კრებაზე, მაგრამ ამაზე შემდეგ ახლა კი ვსთხოვ რედაქციას საშუალება მიბოძოს გავაცნო მკითხველ საზოგადოებას ის ჩემი განცხადება, რომელიც დიდ შეცოდებათ მოჩვენებია ბ. „მუქურ-ვარსკვლავს“ და ბ. „ბუნემარსაც“ კი. აი ეს განცხადებაც:

**ქ შ. წ. კ. გამავრცელებელ საზ. სენაკის განყოფილების გამგეობას.**

მოგეხსენებათ, რომ დ. ახალ-სენაკში არსებობს კერძო ოთხკლასიანი სასწავლებელი პროგიმნაზიული კურსით და სამი მოსამზადებელი განყოფილებით.

ამ სასწავლებლის გახსნის უფლება ჩემს სახელზეა მოპოვებული წარსული წლის სექტემბრის შუა რიცხვებიდგან.

ხუთი ექვსი წლის განმავლობაში, ვიდრე 1914 წლის 1 ოქტომბრამდე ამგვარივე კერძო სასწავლებელი ჰქონდა აქ ქალბატონ მ. ფულარიასას. ადგილობრივი მცხოვრებნი საკმაო თანაგრძნობით ეპყრობოდენ ქ-ნ ფულარიას სასწავლებელს და საგრძნობელ ნივთიერ დახმარებასაც უწევდენ ყოველწლიურად მიუხედავად ასეთი პირობებისა 1914 წლის სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში ქ-ნი ფულარიასა იძულებული შეიქნა სასწავლებლის მიტოვება განეძრახა, რაც სხვებთან ერთად მეც არა სასურველ გარემოებად მივიჩნიე და ვურჩიე ქ-ნ ფულარიასას, რომ მას მოეწვია მოწაფეთა მშობლები და ადგილობრივ მცხოვრებთაგან ამ დაწესებულებისადმი გულშემატკივარნი და ეცნობებია მათთვის თავისი განძრახვა, რომ სკოლა უხმოთ არ დახურულიყო.

1914 წ. 27 სექტემბერს ქ. ფულარიასამ მართლაც მოიწვია კრება ადგილობრივ საზოგადოების წარმომადგენლებისა; კრებას მეც დავესწარი და იძულებული გავხდი მერჩია შეკრებილთათვის სასწავლებელი არ დაეხურათ. —ამ შემთხვევაში მე ვხელმძღვანელობდი სიყვარულით იმ გვარ კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებისადმი, რომლისათვისაც თავგამოდება ჩემი სიცოცხლის მიზნად დამისახავს. სულაც არ მოველოდი თუ ჩემი წაქეზება და სკოლის მომავლის საკეთილოთ დასურათება კრებას საბაბს მისცემდა, ჩემი გასროლილი საბელი თვით ჩემთვის მოეხვია.

სამწუხაროდ ასე კი მოხდა: კრებამ დაჟინებით მოითხოვა ჩემგან, რომ ამ სკოლის გაძღოლა მე მეკისრნა —

მე მოვახსენე კრებას ფრიად საპატიო მიზეზები იმისა, რომ ამ დავალების ასრულება ჩემთვის სრულიად მოუხერხებელი იყო, მაგრამ როცა დავინახე, რომ ჩემი გადაჭრილი უარი სკოლის მეორე დღესვე დახურვას უქადდა, რადგან თვით პატრონი სკოლისა მეორე დღესვე სტოვებდა მას, რის გამო დაშთებოდნენ მასწავლებლები და მოწაფენიც იძულებული ხდებოდენ გამოთხოვებოდენ დაწყებულ საქმეს, იძულებული გავხდი აღმეთქვა მასწავლებელთათვის დახმარება როგორც ნივთიერად მათი უზრუნველყოფით წლის ბოლომდე, აგრეთვე იდეურად ხელის შეწყობით, რასაკვირველია არა ოფიციალურად, რადგან სკოლა ისევ ქ-ნი ფულარიას სახელზე რჩებოდა.

კრებაზე დამსწრეთ დასწერეს ერთგვარი პირობის ქაღალდი, რომლითაც აღმითქვეს მე 400 მანეთი დახმარება იმ სასწავლო წლის ბოლომდე. ეს ქაღალდი წლის ბოლომდე დამწერთავე ხელში დარჩა, რადგან მე ფიქრადაც არ მომსვლია მითი მესარგებლა იძულებით წლის ბოლოს ქაღალდზე ხელის მომწერთაგან ხუთმა კაცმა ინება ჩემთვის თავისი წვლილი გადმოეცა. სამმა მათგანმა თითო თუმანი და ორმაც ხუთ-ხუთი მანეთი.

19 14/15 სასწ. წელში რომ ოლქის მზრუნველის განკარგულებით მთელ კავკასიაში სწავლა მარტში არ შეწყვეტილიყო, შესაძლებელია მეც არ დავსჭირვებოდი ნივთიერად სხვისი შკოლის შენახვის გამო, რადგან მოწაფენი წლის ბოლომდე დარჩებოდნენ და სწავლის ქირას გადაიხდიდენ, მაგრამ რადგან ეს ასე არ მოხდა, მე იძულებული გავხდი 260 მანეთი საკუთარი საშუალებიდან დამემატებინა შკოლის ხარჯების გასასწორებლად. ამასთანავე ამასაც აღვნიშნავ, რომ ორასიოდე მანეთით წინეთაც ვიყავ დასჯილი ამ შკოლის გახსნის გამო.

ამ სასწავლო წელში ათას გვარად გართულებული ხელის შემშლელი პირობები ნებას არ მაძლევდნენ შკოლის არსებობის გაგრძელება მეფიქრა, მაგრამ იძულებული გავხდი ანგარიში გამეწია იმ მითქმა-მოთქმისათვის, რომელმაც ჩემამდე საყვედურის კილოთი მოაღწია.

დადგა თუ არა სექტემბერი, ბევრმა მასმინა საყვედური „რათ შკოლას არ ხსნი! ჩვენ მისი მოიმედენი დავრჩით და გვეგონა, რა კი შენ იკისრე მისი გაძღოლა, საქმე უკეთ მოეწყობოდაო!“ რასაკვირველია, ეს უმართლო ვვედრება იყო, რადგან მე შკოლა სულაც არ მქონდა მიღებული, მაგრამ ამგვარ ფორმალურ გარემოებს მასსა ხომ ანგარიშებს არ უწევს. რადგან საქმემ ასეთი ხასიათი მიიღო, მეც ვთხოვე სამოსწავლო მთავრობას სასწავლებლის გახსნის ნებართვა 1914 წ. 1 ივლისის კანონის საფუძველზე. ამგვარი ნებართვა მივიღე 15 სექტემბერს და 15 ოქტომბერს სასწავლებელიც გაიხსნა ფაქტიურადორი მოსამზადებელი კლასის შემადგენლობით. ამ იანვარის 15-ს კი I და III კლასებიც გაიხსნა. რადგან ამ კლასებისათვის მომზადებულნი მოწაფენი დაჟინებით მოითხოვდენ მიღებას. ამ სახით წლის ბოლოს სასწავლებელში იყო ორი მოსამზადებელი განყოფილება 18 მოწაფით, 1 კლასი 5 მოწაფით და III კლასი 15 მოწაფით. წლის განმავლობაში სასწავლებელში შრომობდა სამი მასწავლებელი ქალი.

ეს წელი უდეფიციტოთ დასრულდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ საშვალება არ იყო მასწავლებელთათვის ზაფხულის ორი თვის ჯამაგირებიც მიგვეცა, რაშიც ისინი წინდაწინ იყვნენ გაფრთხილებულნი. ასეთია მოკლეთ წარსული ამ სასწავლებლისა; მოგეხსენებათ თქმულია: ერთი კაცი ჭამაშიც ცოდვა არისო! შკოლის შენახვას ნივთიერ ფაქტორზე არა ნაკლებ მორალური ფაქტორი ესაჭიროება.

უმორჩილესად ვთხოვ წ. კ. გ. საზ. სენაკის განყოფილების გამგეობას ეს მოხსენება თავის დასკვნით წარუდგინოს საზოგადოების მორიგ კრებას 3 ივლისის და მხარი დაუჭიროს ჩემს თხოვნას, რომ საზოგადოებამ ეს სასწავლებელი აღიაროს თავის მფარველობის ქვეშ, რისთვისაც დაყენებულ იქნეს კითხვები ამ რიგით:

1 საჭიროთ სთვლის თუ არა კრება შკოლის არსებობის გაგრძობას.

2) სცნობს თუ არა კრება საზოგადოების მიზნის შესაფერად ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს შკოლას.

სცნობს თუ არა კრება შესაძლებლად დაავალოს გამგეობას გამონახოს [illegible] საშუალება ამ შკოლისათვის [illegible] აღმოსაჩენათ!.

კრების მიერ [illegible] კითხვებზე ჩემთვის, როგორც შკოლის შენახველისათვის [illegible] მიხედვითაც უნდა მივიღო ეგა თუ ის გადაწყვეტილება.

რასაკვირველია ნივთიერ დახმარებას დიდი მნიშვნელობა ექნება, მაგრამ ჩემთვის უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება იმას რომ ამის შემდეგ ფართე საზოგადოება იქნება დაინტერესებული შკოლის ავკარგით.

მე მსურს რომ საზოგადოება თავისი გამგეობის სასკოლო სექციის საშუალებით ერთგვარ მეთვალყურეობას უწევდეს შკოლის ცხოვრებას. ეს გარემოება გაამხნევებს შკოლის მსახურთ, გაამხნევებს მისს იურიდიულ პირისუფალს და დაუახლოვებს შკოლას საზოგადოებას

პოლ. ლორთქიფანიძე. (შემდეგი იქნება)

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**




**რკინის გზის მიმოსვლა.**

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ | |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 50 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | → 5 ს 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 20 | „ |
| შორაპნისაკენ | – დღით | — 5 ს. 20 | „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# აპი სენი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიჰყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დამლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუმსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს ხიფარმივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)


ეროვნული ბიბლიოთეკა